საქართველო

5330-01-2-201702141500

საგარეო საქმეთა
სამინისტრო

№ 01/5330
14/02/2017

საქართველოს პარლამენტის
ადამიანის უფლებების დაცვისა და
სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის
თავმჯდომარის მოადგილეს,
ბატონ **რატი იონათამიშვილს**

ბატონო რატი,

თქვენი 2017 წლის 2 თებერვლის №4085/01 წერილის პასუხად, რომელიც ეხება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის ფაკულტატური ოქმის რატიფიცირების საკითხს, გაცნობებთ, რომ აღნიშნულ დოკუმენტს საქართველოს მხრიდან ხელი მოეწერა 2009 წლის 10 ივლისს. ამასთან, ქართული მხარის მიერ, შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების დასრულების მიზნით, აღნიშნული დოკუმენტი საგარეო საქმეთა სამინისტროს 2009 წლის 25 სექტემბრის №1/1775-14 წერილით გადაგზავნილ იქნა საქართველოს პრეზიდენტის ადმინსტრაციაში. ამასთან, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის 2012 წლის 12 ნოემბრის №15/122, 15/405, 35541 წერილის თანახმად, მოცემული დოკუმენტაცია ადმინისტრაციაში ვერ იქნა მოძიებული.

2012 წელს, ზემოაღნიშნული ოქმის მიმართ შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების დასრულების მიზნით, საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ ხელახლა მოპოვებულ იქნა შესაბამისი უწყებების დასკვნები. ამასთან, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ თავისი 2013 წლის 19 აპრილის №01/34513 და 2013 წლის 28 იანვრის №01/5917 წერილების შესაბამისად, მიზანშეწონილად ჩათვალა იმ ეტაპისთვის კონვენციის ფაკულტატური ოქმის რატიფიცირებისგან თავის შეკავება.

აქვე, გაცნობებთ, რომ 2015 წლის უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის ფარგლებში აღებული რეკომენდაციების ჩამონათვალში მოექცა, წინამდებარე ოქმის რატიფიცირების საკითხი, რომელმაც საქართველოს მხარდაჭერა დაიმსახურა. ოქმის რატიფიცირებაზე ხაზგასმულია, ასევე საქართველოს მთავრობის 2016-2017 წლის სამოქმედო გეგმაში. აღნიშნულისა და თქვენი წერილის საფუძველზე, საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ განახლებულ იქნა პროცედურები, რაც გულისხმობს ოქმის რატიფიცირების თაობაზე შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პოზიციის მოპოვებას.

პატივისცემით,
ხათუნა თოთლაძე

0118 თბილისი, შიო ჩიტაძის ქ. №4; ტელ: (+99532) 294 50 00; ფაქსი: (+995 32) 294 50 01
www.mfa.gov.ge

მინისტრის მოადგილე